

## სკოპინგის დასკვნა N 28

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ქ. ქუთაისის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (ს/კ 412670097);

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტები;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 16.02.2024

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „CDM SMITH“

### პირითადი საპროექტო მონაცემები

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში „ქ. ქუთაისის საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების“ სკოპინგის განცხადება.

2021 წლის 14 იანვარს, ქ. ქუთაისში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ჩამდინარე წყლების 30 059 მ<sup>3</sup>/დღე წარმადობის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-48; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N46).

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიის ცვლილება და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია/მშენებლობა. პროექტის ფარგლებში უცვლელი რჩება გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილი, კერძოდ: გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის შერჩეულია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში არსებული 133 731 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 29.17.36.013), რომელიც მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. პატრიკეთის ტერიტორიაზე, მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარის კალაპოტიდან 410 მეტრის დაშორებით. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 700 მეტრს. არსებული მდგომარეობით ტერიტორიაზე განთავსებულია უფუნქციო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის კონსტრუქციები, რომლებიც ექვემდებარება დემონტაჟს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტი შედგება ორი კომპონენტისგან. პირველი კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ქუთაისის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია/მშენებლობა, რომლის საერთო სიგრძე იქნება 352,2 კმ (25 კმ სიგრძის

მაგისტრალური კოლექტორის ჩათვლით). მეორე კომპონენტი ითვალისწინებს ქ. ქუთაისის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას, რომლის დღეღამური წარმადობა 30 059 მ<sup>3</sup>-ის ნაცვლად, იქნება 31 652 მ<sup>3</sup> (გათვლილი 240 000 მოსახლეზე). ნაგებობის ტექნოლოგიის ცვლილება, გულისხმობს აქტიური ლამის მართვის მეთოდის გამოყენების ნაცვლად, ლამის გახანგრძლივებულ წმენდას.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების შესახებ. დოკუმენტში განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი), გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილმდებარეობისა და ტექნოლოგიური პროცესის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი ინფორმაციით, ალტერნატივების შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

საპროექტო გამწმენდი ნაგებობის შემადგენლობაში შედის: სათავე სადგური, რომელშიც დამონტაჟდება მექანიკური გამწმენდი (შემომავალი კანალიზაციის ორმო, 2 ერთეული მსხვილგისოსებიანი ფილტრი; ამწევი სადგური (5 ერთეული ძრავაზე მომუშავე ტუმბოთი) და 4 ერთეული წვრილგისოსებიანი ფილტრი); 6 ერთეული აერაციული ქვიშადაამჭერი ავზი (მოძრავი ხიდი, ცხიმისა და ქვიშის შემგროვებელი სისტემა და სარქველები); 6 ერთეული საბოლოო სალექარი ავზი; 8 ერთეული ლამის პირველადი გამამკვრივებელი; 4 ერთეული მეორადი გამამკვრივებელი; 4 ერთეული ანაერობული გადამამუშავებელი ავზი; 4 ერთეული გადამამუშავებელი ავზი; 2 ერთეული ლენტური პრესი, გაზის საცავი ავზი, სითბოსა და ენერჯის კომბინირებული (CHP) 2 სადგური.

გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: ფიზიკურ-მექანიკური გაწმენდა, ბიოლოგიური გაწმენდა, გაწმენდილი წყლის დალექვა, ჭარბი ლამის პირველადი და მეორადი გრავიტაციული სტაბილიზაცია, მექანიკური გაუწყლოება და ანაერობული დამუშავება. ფიზიკურ-მექანიკური გაწმენდის შედეგად, აერაციულ ქვიშადაამჭერ ავზში წარმოქმნილი პირველადი ლამის, ზეთისა და ცხიმის გადამამუშავება მოხდება ანაერობული მეთოდით, რის შედეგადაც წარმოიქმნება მეთანის შემცველი ბიოგაზი და ნახშირორჟანგი. ბიოგაზი შეგროვდება შესაბამის ავზში და მიეწოდება „CHP“ სადგურს, რომელიც გაზის წვის შედეგად აწარმოებს სითბოსა და ელექტროენერჯიას. სადგურის მიერ გამოიმუშავებული სითბო გამოყენებული იქნება შენობებისა და ანაერობულ გადამამუშავებელში არსებული ლამის გასათბობად. გაწმენდილი საკანალიზაციო წყლის ჩაშვება მოხდება გამწმენდი ნაგებობიდან 170 მ-ში არსებულ „ვარციხე-3“ ჰესის სადერივაციო არხში (ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X-286182.54; Y-4670444.30).

გაწმენდის პროცესის შედეგად წარმოქმნილი ლამის განთავსება დაგეგმილია 15 სალამე მოედანზე (12 დიდი და 3 პატარა ზომის, ჯამური მოცულობით 80 000 მ<sup>3</sup>) ჰუმიფიკაციის პროცესისთვის, რომლის შედეგად ლამში შემცირდება ტენის შემცველობა და გაიზრდება მყარი, მშრალი შემადგენლობა. 10 წლიანი გამოშრობის შემდეგ მოხდება ლამის მოედნიდან

გატანა. წარმოდგენილი ინფორმაციით, ჰუმიფიცირებული ლამი შესაძლოა გამოყენებული იქნეს რეკულტივაციის მასალად უფუნქციო კარიერების, ინდუსტრიული კომპლექსებისა და დასახური ნაგავსაყრელებისთვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება მოხდება 3 დამოუკიდებელ ფაზად (თითოეული მოიცავს 4 წლიან პერიოდს), 12 წლის განმავლობაში. ექსპლუატაციის ფაზაზე დასაქმდება 15-20 ადამიანი.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია ტექნიკა-დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების მუშაობისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ ძირითად მავნე ნივთიერებას წარმოადგენს არაორგანული მტვერი, რომელიც შესაძლებელია წარმოიქმნას სხვადასხვა სახის ტექნიკური სამუშაოების პროცესში. ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა და სუნის გავრცელება, ასევე ხმაურის წარმოქმნა გამწმენდი ნაგებობის და სატუმბი სადგურების მუშაობის პროცესში. წარმოდგენილი ინფორმაციით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, ასევე სუნისა და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასება მოხდება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების შედეგად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მოიხსნება 5 521 მ<sup>3</sup> ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მოხდება 194 304 მ<sup>3</sup> გრუნტის ექსკავაცია. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ პერიმეტრზე, შემდგომში გამოყენებული იქნება რეკულტივაციისთვის. გრუნტის გამოყენება მოხდება სამშენებლო სამუშაოებისთვის (შევსებითი სამუშაოები, დონეების გათანაბრება, შიდა გზების მოწყობა), დარჩენილი გრუნტის განთავსება დაგეგმილია ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, საქმიანობის განხორციელების პროცესში მოხდება ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება სახეობებისა და მახასიათებლის მიხედვით. ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის განთავსებისთვის შერჩეული ტერიტორია ანთროპოგენურად სახეცვლილია და არ გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით. ტერიტორიაზე მცენარეული საფარი ძირითადად წარმოდგენილია ბუჩქოვანი და ბალახოვანი სახეობებით, ასევე ტერიტორიაზე გვხვდება რამდენიმე ხე-მცენარე (მათ შორის ვერხვი,

ტერიფი, ალვის ხე და ჭადარი). ტერიტორია არ წარმოადგენს ფაუნისთვის მნიშვნელოვან ჰაბიტატს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 12 მარტს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფ. პატრიკეთის ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, ქუთაისის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დაინტერესებული საზოგადოების მიერ დასმული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა: საქმიანობის განხორციელების ვადებს და ქ. საკანალიზაციო ქსელის გამართულად მუშაობის საკითხებს, რაზეც შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვებზე დასმული საკითხები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;

2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
  - ექსპლუატაციის პირობის ცვლილების საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
  - საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდ(ებ)ის, ასევე საკანალიზაციო ქსელის, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობის shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
  - საკანალიზაციო სისტემის და კოლექტორის სქემა, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
  - საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით) და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტ(ებ)ამდე, ასევე უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე;
  - ინფორმაცია ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ინფრასტრუქტურის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები, ასევე უმოქმედობის ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივები, შესაბამისი დასაბუთებით;
  - ექსპლუატაციის პირობების ცვლილების დეტალური აღწერა, მათ შორის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი გამწმენდი ნაგებობის პარამეტრების, ასევე ფიზიკური მახასიათებლების და წარმადობის მითითებით;
  - ექსპლუატაციის პირობების გათვალისწინებით, დაბინძურებული ჩამდინარე წყლის სავარაუდო შემადგენლობა - გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ (ჩამდინარე წყლის ჩაშვების პარამეტრები შესაბამისი გაანგარიშებით, ჩამდინარე წყლების მოსალოდნელი დაბინძურების დატვირთვები, ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები) შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით. ასევე, გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ ჩამდინარე წყლების მონიტორინგის (სინჯის აღების წერტილები, მეთოდები, პერიოდულობა) საკითხები;
  - ქ. ქუთაისის მოსახლეობის ცვლილებისა და შესაბამისად ჩამდინარე წყლების რაოდენობის ცვლილების დინამიკის მაჩვენებლები, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის წარმადობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მითითებით;

- საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ლამის რაოდენობის და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, საბოლოო მართვის ღონისძიებების მითითებით. მათ შორის:
  - წარმოქმნილი ლამის კლასიფიკაციისა და ლაბორატორიული კვლევის ჩატარების შესახებ ინფორმაცია;
  - გამწმენდი სისტემიდან ლამის განტვირთვის სიხშირის შესახებ ინფორმაცია, გამწმენდი ნაგებობიდან ლამის განტვირთვის მეთოდის მითითებით;
  - დაზუსტებული ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ლამის მართვის შესახებ. გაუწყლოების ადგილი და პირობები, საბოლოო მართვის საკითხები, შესაბამისი დასაბუთებით (განხილული უნდა იყოს გაუწყლოებული ლამის მართვის ყველა შესაძლო მეთოდი, შერჩეული მეთოდის გარემოსდაცვითი უპირატესობის დასაბუთებით). ასევე, მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს გაუწყლოებული ლამის საბოლოო მართვას;
  - სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებული არ არის ჰუმიფიცირებული ლამის საბოლოო გამოყენების შესახებ ინფორმაცია, აღნიშნული საკითხი დაზუსტებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში, შესაბამისი დასაბუთებით;
  - ლამის სასუქად გამოყენების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს: დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ტიპის ლამის სასუქად გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკისა და შედეგების შესახებ (საინფ. წყაროს მითითებით), აგრეთვე მისი სასუქად გამოყენების პირობების, სტანდარტების შესახებ და სხვ.
  - დაზუსტებული ინფორმაცია ლამის ჰუმიფიკაციის პროცესისა და სალამე მოედნების შესახებ (სალამე მოედნების ფართობებისა და მოცულობების მითითებით, ასევე სალამე მოედნები ასახული უნდა იქნეს გენ-გეგმაზე);
- გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სუნის გავრცელებასთან გამოწვეული ზემოქმედების შეფასება (სუნის გავრცელების წყაროების მითითებით), შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წყალმომარაგება/წყალარინების საკითხების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის საპროექტო გამწმენდი ნაგებობის პერიმეტრზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების და მათი მართვის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საკანალიზაციო წყლებში სანიაღვრე წყლების შერევისა და შესაბამისად სანიაღვრე წყლების გამწმენდ სისტემაში მოხვედრის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ექსპლუატაციის საპროექტო ტერიტორიის (საკანალიზაციო კოლექტორი) საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია;

- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;

#### **4.1 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:**

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;
- „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის №413 დადგენილების შესაბამისად მონიტორინგის განხორციელება;

#### **4.2 გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:**

##### **გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:**

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

##### **გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:**

- ზემოქმედება გრუნტის წყლებზე;
- საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით.

#### 4.3 ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ეყრდნობა ლიტერატურულ მონაცემებს. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათ შორის იქთიოფაუნაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე;
- ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და მასშტაბი, რის შემდეგაც უნდა განახლდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და შემუშავდეს მონიტორინგის გეგმა, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, უნდა აისახოს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე დაკვირვების საკითხი. მონიტორინგის გეგმაში ასევე უნდა აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების, მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, ასევე სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხები;
- დეტალური ინფორმაცია პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე (ფაზაზე) ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბზე და აღნიშნული ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილ შემარბილებელ ღონისძიებებზე. აღნიშნული საკითხი უნდა აისახოს მონიტორინგის გეგმაში;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამწმენდი ნაგებობის, საკანალიზაციო ქსელის/კოლექტორის, სამშენებლო ბანაკის და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- გზმ-ის ანგარიშში აისახოს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ამსახველი დეტალური ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში სათანადო პრევენციული ქმედებების აღწერით;
- გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობისა და მახასიათებლების შესახებ. (ე.წ ტყეკავის უწყისი);



- დეტალური ინფორმაცია პროექტის განხორციელების შედეგად მდ. რიონზე გავრცელებულ წლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, მათ შორის მნიშვნელოვანია მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდეს მდ. რიონში გავრცელებულ, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დაცულ, მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე ზუთხისებრთა სახეობებზე, მათზე შესაძლო მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის დაგეგმილ შემარბილებელ ღონისძიებებზე. საკითხი ასევე საჭიროა აისახოს მონიტორინგის გეგმაში.

**5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის: მოცემული უნდა იყოს მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები; სუნის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასება (განსაკუთრებით საყურადღებოა ლამის გამოშრობის პროცესში წარმოქმნილი სპეციფიკური სუნის გავრცელების საკითხი) და შემარბილებელი ღონისძიებები; ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის სტაციონარული წყაროების არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
- ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე და მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. პროექტის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის/გრუნტის მოცულობებისა და ფართობების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, შემდეგი მართვის ღონისძიებების მითითებით და დასაბუთებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (მათ შორის წყლის გარემოზე), მიმდებარედ არსებული და საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე (შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტის, ისტორიკოსი, არქეოლოგის ჩართულობით). კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენა, აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით);
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა; მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა. მათ შორის გამწმენდი ნაგებობის ავარიული გაჩერების შემთხვევაში მდინარის დაბინძურების პრევენციის მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი რეკომენდაციები.
- ინფორმაცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და სოციალური პაკეტების შესახებ, ასევე ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ;
- ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (ლამი და სხვ.) შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და

კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად ნარჩენების კოდების, დასახელებების, მოსალოდნელი რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;

## 6. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშის სარჩევის მიხედვით, დოკუმენტს ახლავს უფუნქციო გამწმენდი ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოებისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ შპს „ვარციხე 2005“-თან შეთანხმების დანართები, რაც წარმოდგენილი არ არის. „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №414 დადგენილების, დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების საკანალიზაციო სისტემაში, აგრეთვე საკუთრებაში მყოფი წყალსამეურნეო სისტემაში ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები განისაზღვრება აღნიშნული სისტემის მფლობელთან შეთანხმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **წარმოდგენილი უნდა იქნეს ვარციხე-3 ჰესის მესაკუთრესთან (შპს „ვარციხე 2005“) შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, გამწმენდი ნაგებობის დღეღამური წარმადობა იქნება 31 652 მ<sup>3</sup>, ასევე დოკუმენტში მითითებულია 56,400 მ<sup>3</sup>. წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის წარმადობის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, 10 წლიანი გამოშრობის შემდეგ მოხდება ლამის მოედნიდან გატანა. წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დასაბუთება ლამის დაყოვნების ხანგრძლივი პერიოდის შესახებ, შენახვის/დასაწყობების პირობების, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობის ეტაპზე შესასრულებელმა სამუშაოებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს წყლის ამღვრევას, ასევე ვიბრაციისა და ხმაურის, გავრცელებას რაც უარყოფითად აისახება მდ. რიონის იქთიოფაუნის ცხოველმყოფელობაზე. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ სამუშაოების წარმოება არ უნდა დაემთხვეს მაისი-ივლისის თვეებს, როცა საპროექტო არეალში მობინადრე სახეობები ქვირითობენ. ასევე, მნიშვნელოვანია ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნეგატიური ზეგავლენა, რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება გაუწმენდავი ან არასრულყოფილად გაწმენდილი ჩამდინარე

წყლების ჩაშვებასთან და ნარჩენების (მათ შორის ლამის) წარმოქმნასთან. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, საკანალიზაციო სისტემის 688 გრძივი მეტრი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. კერძოდ, ხონი-წყალტუბოს სატყეო უბნის ცხუნკურის (ყოფილი ქუთაისის) სატყეოში, კვარტალი NN19;20. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყით სარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია კვეთს უკანეთის სააგურე თიხის საბადოს კონტურსა და გელათის ანალციმიანი ქვიშაქვების საბადოს ტერიტორიის იმ ნაწილს, სადაც პროდუქტული ფენა განლაგებულია სიღრმეზე და საბადოს დამუშავების შემთხვევაში წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების მეშვეობით. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;
- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო საკანალიზაციო ქსელის გარკვეული ნაწილი ექცევა ძეგლების როგორც ფიზიკური, ასევე ვიზუალური დაცვის ზონაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს დაგეგმილი სამუშაოების ძეგლებზე ზემოქმედების საკითხთან დაკავშირებული კვლევები. ამასთან მიზანშეწონილია როგორც ძეგლების ტერიტორიაზე, ისე მათი დაცვის ზონებში დასაგეგმი სამუშაოები განხილულ იქნას ინდივიდუალურად, ან ტერიტორიის შემცირებული მონაკვეთების მიხედვით, რათა გამოირიცხოს ძეგლის ინტერესების დარღვევა. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში (მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია);
- სკოპინგის ანგარიშში მითითებული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას/დასაბუთებას „ლამის შემდგომი გამოყენება მოხდება ლამის მართვის გეგმის (SMP) შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია კონსულტანტის მიერ და წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განსახილველად. სამინისტრომ განიხილა იგი და მოიაზრებს მის დამტკიცებას ქუთაისის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში”

- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ დაბინძურებული ნიადაგი მოცულობა სავარაუდოდ იქნება - 66,328 მ<sup>3</sup>. დაზუსტებას საჭიროებს კონკრეტულად რა იგულისხმება დაბინძურებულ ნიადაგში;
- გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს მოთხოვნა 2021 წლის 14 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N2-48) ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
- წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, საკანალიზაციო სისტემა კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ საავტომობილო გზას. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. ქუთაისის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.